პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№123 (11429)
შაბათი
30
მაისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს ხუთი თვის გეგმა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოებმა ვადამდე, 27 მაისს შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა.

გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ბევრი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ქვანახშირი, სატვირთო ავტომობილი, პირველადი დამუშავების ჩაი, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი, ფეხსაცმელი, [illegible] პროდუქტი, კონსერვი და სხვა ნაწარმი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა მაისის დამლევამდე ხუთი თვის გეგმის გადაჭარბებით ჩვენს ქვეყანას მისცემს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქციას. (საქდესი).

ვაშენოთ სახლები ინდუსტრიული მეთოდებით

უდიდესი მოცულობა საბინაო მშენებლობისა, რაც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებით, მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. შვიდწლედის მანძილზე საქაპიტალოტაციოდ უნდა გადაეცეს 15 მილიონი ახალი ბინა. სოფლებში კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციის ძალებით დახახულია აშენდეს შვიდ მილიონამდე საცხოვრებელი სახლი.

კიევში საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩვენში დიდი სიძნელეები იყო ბინების მხრივ. ბევრმა ახლა ეს სიძნელენი დღითიდღეს უფრო ნაკლები ხდება. თქვენ იცით, რომ პარტია წარმატებით ახორციელებს 12 წლისათვის დასახულ საბინაო მშენებლობის გეგმას. ჩვენი მშენებლობა წინ უსწრებს გეგმებს, მათ შორის საბინაო მშენებლობაც. ყველა საფუძველი გვაქვს ვფიქროთ, რომ საბინაო მშენებლობის პროგრამა, რომელიც 12 წლისათვის დასახესი, შესრულდება ვადამდე, შესაძლოა 10 წელიწადში“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევას ტექნიკური პროგრესის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხების განსახილველად უდიდესი მნიშვნელობა ექნება სახლობა მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია გადამწყვეტ როლს ასრულებენ საწარმოთა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობების აგების ვადებისა და ღირებულების შემცირებაში.

საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ ის, სადაც ამ საქმეს კონკრეტულად და ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოები. ფართოდ იყენებს რა ინდუსტრიულ მეთოდებს, მოსკოველმა მშენებლებმა მიმდინარე წლის ოთხ თვეში აშენეს 570 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — 60 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე აშენდა გასული წლის ამავე პერიოდში. ლენინგრადის მშენებლები გამოვიდნენ შვიდწლედის პირველი წლის დაგალებათა ვადამდე განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად და წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. პირველი მაისის დღესასწაულისათვის ააშენეს 150 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ყოველ თვეში ძლიერდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტემპი დონის როსტოვში, სარატოვში, სვერდლოვსკსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. ამასთანავე მიმდინარე წლის პირველ თვეებში ადგილებზე ერთგვარად შენელდა უფრადღება საბინაო მშენებლობის საარსებო საკითხებისადმი. საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენებან აზერბაიჯანის, საქართველოს, ყირგიზეთისა და უაზბეთის სს რესპუბლიკები. შენელებულია საბინაო მშენებლობის ტემპები კურსკის, კურგანის, პსკოვისა და რიაზანის ოლქებში, ტულაში, ტოუმენში, კრასნოდარში, ომსკსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზებია დიდბანელიანი და დიდბლოკიანი მშენებლობის სუსტი დანერგვა, აგრეთვე ის, რომ ნელა წარმოების გადასვლა საცხოვრებელი სახლების აგებაზე ახალი, ეკონომიური ტიპური პროექტებით.

ჩვენმა მშენებლებმა, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა მუშაკებმა შეიძინეს დიდბლოკიანი და დიდბანელიანი მშენებლობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ტრესტი „მაგნიტმასტროი“ ფართოდ იყენებს პრაქტიკაში დიდბანელიანი შენობების აგებას ქარხნის პირობებში დამზადებული ელემენტებისა და კონსტრუქციებისაგან. ჩერეპოვეცის მეტალურგმშენის ტრესტი აწარმოებს დიდბანელიანი სახლების სერიულ-ნაკადურ მშენებლობას ტიპური პროექტებით. დიდბლოკიანი და დიდბანელიანი მშენებლობა მნიშვნელოვანი მასშტაბით არის გამოყენებული მოსკოვში, ლენინგრადსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

შვიდწლედის დამლევისათვის დიდბანელიანი მშენებლობის მოცულობა გათვალისწინებულია აყვანილ იქნას 25 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობამდე წელიწადში. მიმდინარე წელს რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის, ბელორუსიის, უაზბეთის სს რესპუბლიკებსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში დახახულია ამუშავდეს მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც მოწყობილი იქნება კასეტური დანადგარებით დიდი პანელების წარმოებისათვის.

მოსკოველმა მშენებლებმა და ხაშენ მახალათა მრეწველობის მუშაკებმა ხაფუძველი ჩაუყარეს სახლთსაშენებელი ქარხნების შექმნას, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას. ხოროშევოს სახლთსაშენებელი კომბინატი მთლიანად უშვებს 60-ბინიანი ხუთსართულიანი დიდპანელიანი შენობების ელემენტებს. ამ კომბინატის სიმძლავრეა 100 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი წელიწადში. ამ სახლების დეტალები სპეციალურ ავტომანქანებს — პანელმზიდებს გადააქვთ ხოროშევომწვნიკის სამშენებლო მოედანზე, სადაც მოსკოვის საბინაო მშენებლობის ტრესტი აწყობს ამ დეტალებისაგან საცხოვრებელ სახლებს. უახლოეს თვეებში ათვისებულ იქნება ორაკოვოს სახლთსაშენებელი კომბინატის და სხვა სახლთსაშენებელი საწარმოთა საროექტო სიმძლავრე. მთლიანასაწყობი მშენებლობის მოცულობა მოსკოვში მიმდინარე წელს მიაღწევს მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

ლენინგრადის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს ერთიორად გაადიდონ შარშანდელთან შედარებით დიდბლოკიანი და დიდპანელიანი მშენებლობის მოცულობა. ისინი მიზნად ისახავენ, რომ წელს სახლთსამშენებლო კომბინატებმა დაიწყონ დიდპანელიან საცხოვრებელ შენობათა მშენებლობა. მშენებლობის გაიაფების ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელს გახდის შემცირდეს კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება ყველა სახლში, რომლებსაც ლენინგრადის მშენებლობის მთავარი სამმართველო აშენებს, საშუალოდ 100 მანეთით, ხოლო დიდლიმენტიან მშენებლობაში — 300 მანეთით 1958 წელთან შედარებით.

ამ მიზნით, რომ ყოველი ღონისძიებით აღმოფხვრილ საცხოვრებელი სახლების ცალმხრივი აგურით აშენების არაინდუსტრიული მეთოდები, კიევის მშენებლობის მთავარი სამმართველოსა და ქალაქ ნოვოკუიბიშევსკის მშენებლები ფართო მასშტაბით იყენებენ აგურის დიდ ბლოკებს, რომლებიც ქარხნის პირობებში მზადდება. მოსკოვში, კიევში, მინსკში იწყებენ ვიბროაგურის პანელების გამოყენებას. კიევის მშენებლობის მთავარი სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა დიდი ზომის ელემენტებისაგან აშენოს შენობათა საერთო ფართობის 70 პროცენტი. დიდი და ხაპატიო ვალდებულებები იკისრეს ბელორუსიის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, კემეროვოსა და ბევრი სხვა სახლხო მეურნეობის საბჭოების მშენებლებმა. ეშზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, მშენებლები აძლიერებენ ბრძოლას ნახევარი წლის პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის, სამუშაოთა შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის, მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და უკეთ გამოყენებისათვის.

ინდუსტრიული საბინაო მშენებლობის უპირატესობა უდავოა. მიუხედავად ამისა მთელ რიგ ქალაქებში ჯერ კიდევ არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს ამისათვის, რომ აშენონ საცხოვრებელი შენობები დიდ პანელებისა და ბლოკებისაგან. მაგალითად, კრასნოიარსკში საცხოვრებელ სახლებს მეტწილად კვლავ ცალმხრივი აგურისაგან აშენებენ.

დნეპროპეტროვსკში, ალმა-ატაში, ნოვოსიბირსკში, ვოლგოგრადში, კალუგაში, სტალინგრადსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში აყოვნებენ საცხოვრებელი სახლების აგებას ახალი ეკონომიური ტიპური პროექტებით.

საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სახსრების დაქსაქსვა ბევრ მშენებლობაზე. საქალაქო აღმასკომები ჯერ კიდევ არ გამხდარან საბინაო მშენებლობის ძირითადი დამკვეთები. ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა აძნელებს მშენებლობის ნაკადური მეთოდების დანერგვას მასივებად თავისუფალ ტერიტორიაზე.

დიდი ნაკლოვანებანია საბინაო მშენებლობის დაპროექტების ორგანიზაციაში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულებათა განხორციელება და მიაღწიონ საბინაო მშენებლობის დარგში შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა მოლიანად და გადაკრამდენი შესრულებას. საბინაო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის შემდგომ ამაღლებასა და ტემპების გაძლიერებას საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა აქვს.

„პრავდა“ 29/V ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

კულტურის უნივერსიტეტების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ინიციატივის შესახებ, რომ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საწარმოებში შეიქმნას კულტურის უნივერსიტეტები, მუსიკალური და ლიტერატურული ლექტორიუმები მშრომელთა შორის კომუნისტური მსოფლმხედველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდისათვის, საბჭოთა ადამიანების მხატვრული და ესთეტიკური აღზრდისათვის.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ კულტურის უნივერსიტეტების შექმნა არის თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი წამოწყება, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ახალი ფორმა, რომელმაც მომავალში დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

რესპუბლიკის ქალაქებში თბილისში, ბათუმში, თელავში, გურჯაანში, უკვე შექმნილია კულტურის უნივერსიტეტები, რომლებშიც ასობით მშრომელნი ინტერესით ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა შესახებ, ზოგად პოლიტიკურ საკითხებზე, ხელოვნებისა და კულტურის საკითხებზე, იმაღლებენ იდეურ და კულტურულ დონეს. უახლოეს დროში კულტურის უნივერსიტეტები შეიქმნება აგრეთვე სხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა კულტურის უნივერსიტეტების მუშაობას, როგორც ხალხის საერთო კულტურის ამაღლებისა და მისი კომუნისტური აღზრდის ყველაზე მასობრივ ფორმას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის მეცნიერმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კულტურის უნივერსიტეტთა მუშაობაში, კიდევ უფრო დაუახლოვდებენ თავიანთ მოღვაწეობას მასებს და ამ საქმეს მიიჩნევენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად ხალხის წინაშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მშრომელთა ახალ ინიციატივას და ქმედითი დახმარება გაუწიონ პირველადს პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კულტურის უნივერსიტეტებისა და ლექტორიუმების მოწყობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელებს, უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს (რექტორს), მუსიკალური, სახვითი და თეატრალური ხელოვნების საშუალო სასწავლებელთა დირექტორებს, დრამატული და მუსიკალური თეატრების დირექტორებს წინადადება ეძლევათ ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კულტურის უნივერსიტეტებს, გამოუყონ მათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხად.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს პროფსაბჭოს დაევალათ შეიმუშაონ სანიმუშო დებულება კულტურის უნივერსიტეტთა სტრუქტურის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შინაარსის შესახებ, უფორო სრულად გამოიყენონ მუზეუმებისა და სურათების გალერეების მოძრავი ექსპოზიციები, მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ფონდები, შექმნან მუსიკალური ბიბლიოთეკები კლუბებსა და კულტურის სასახლეებში.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს დავალებული აქვთ სისტემატურად გააშუქონ კულტურის უნივერსიტეტთა მუშაობის დადებითი გამოცდილება.

140.000 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ!

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

მარგო ჩიქვანაიამ გეგეჭკორის კოლმეურნეობაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 კილოგრამისა, მოკრიფა 110 კილოგრამი ჩაი, **გოგუცა წოწონავამ** სოფელ აბედათის კოლმეურნეობაში — 80 კილოგრამი, **მაშო კილასონიამ** თამაკონის კოლმეურნეობაში — 70 კილოგრამი, **ლარისა ბართაიამ** ლეხაინდრაოს კოლმეურნეობაში — 80 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

ვერა შალამბერიძემ სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 72 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 30 კილოგრამისა, მეცხრე კლასის მოსწავლემ **დემურ გოგოხიძემ** წულუკიძის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში — 73 კილოგრამი, ხოლო მეათე კლასის მოსწავლემ **ინგა სალარაძემ** — 69 კილოგრამი ფოთოლი.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ

ცაცა ზენაიშვილმა ახალსოფლის კოლმეურნეობაში მოკრიფა 85 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 30 კილოგრამისა, **გოგუცა რუხიძემ** — 70, **კატუშა გუჯაბიძემ** — 75, ხოლო **სულიკო ხომერიკმა** — 60 კილოგრამი ჩაი.

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ

ნანული ცივაძემ სოფელ ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 171 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 40 კილოგრამისა, **ნაზი კონცელიძემ** სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობაში — 136 კილოგრამი, ხოლო **ანა ობუხოვამ** ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 114 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

მექანიზატორები მუშაობენ გიტალოვის მეთოდით

მაისის წვიმებმა დააჩქარეს სიმინდის აღმოცენება. უკვე არის სიმინდის ნათესების მწვანე კვადრატები. მშვენივრად გაზრდილმა სიმინდის ნათესებმა ღილის ძილს გადააჩვია სოფელ მაღაროს (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობის წევრები. ისინი დილით ადრე მიისწრაფიან საკოლმეურნეო მინდვრებისაკენ, კარგად იციან, რომ ახლა თვითეული დღე, თვითეული საათიც კი გადამწყვეტია ნათესების დამუშავებაში. მთელი ძალით მუშაობენ იმისათვის, რომ სანამუშოდ მოუარონ სიმინდის ნათესს, მოაშორონ მას სარეველა ბალახები და მიიღონ უხვი მოსავალი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო კოლმეურნე ტრაქტორისტმა არსენ ბაიდოშვილმა. იგი მუშაობს ა. გიტალოვის მეთოდით, მას ყოველდღე ადრე დილით ტრაქტორით ნახავთ კვადრატულ-ბუდობრივად დათესილ სიმინდის მწვანე კვადრატებში. იგი ნაცვლად 15 ჰექტარისა სიმინდის ნათესებში ორმხრივ კულტივაციას ატარებს 30 ჰექტარზე.

საკოლმეურნეო შრომაში დაწინაურდა მექანიზატორი ვასილ ნოვიკოვი, რომელიც სიმინდის ნათესში კულტივაციის ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

საყოველთაო-სახალხო ზეიმი ალბანეთში

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ალბანეთში

ᲙᲝᲠᲩᲐ, 28 მაისი. (საქდესის ხეც. კორ.). დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები რ. ი. მალინოვსკი, ფ. დ. დუმბაძე, დ. რასულოვი და ვ. ი. ივანოვი ამხანაგების ენვერ ხოჯას, მეჰმეტ შეჰუს, ჰიუსნი კაბოსა და ლირი ბელიშოვას თანხლებით თვითმფრინავით ჩავიდნენ კორჩაში, რომელიც ალბანეთის მესამე ქალაქია სიდიდით. მისი მოსახლეობა 40 ათას კაცს აღემატება. კორჩა ცნობილია როგორც ბასტიონი ალბანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა თურქთა ბატონობის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგში — იტალიელ და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქ ჩაისახა ალბანეთის შრომის პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ალბანეთის პატრიოტულ ძალებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. იტალიურ-გერმანული ოკუპაციის წლებში კორჩის მახლობლად, დაბა ვიტჟეჩში, შეიქმნა პირველი პარტიზანული ბრიგადა. ქალაქი ცნობილია აგრეთვე იმით, რომ აქ 1887 წელს გაიხსნა პირველი ალბანური სკოლა.

ახლანდელი კორჩა ალბანეთის მზარდი მრეწველობის ქალაქია. აქ მუშაობენ საკონსერვო, ტყავის, მინის ქარხნები, საშენ მასალათა ქარხანა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა და სხვა საწარმოები. ამ რაიონის ყველაზე დიდი სამრეწველო ობიექტია შაქრის ქარხანა ბალაში. კორჩის რაიონი აგრეთვე ალბანეთის ყველაზე განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ცენტრია.

ისე როგორც ალბანეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში, საბჭოთა სტუმრებს აქ გულთბადი ძმური შეხვედრა გაუმართეს. იერიდრომზე, ხოლო შემდეგ ქალაქში მიმავალ გზაზე საბჭოთა ხალხს წარმოგზავნილთ აღფრთოვანებით მიესალმებოდა ათასობით ადამიანი. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ყვავილების მრავალი თაიგული მიართვეს. მას მხურვალედ ართმევდნენ ხელს, მიმართავდნენ მისალმების სიტყვებით.

ქალაქი სადღესასწაულოდ მორთულია ალბანეთისა და საბჭოთა კავშირის ეროვნული ალმებით, ყველგან მოჩანს ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია ლოზუნგები ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, საბჭოთა კავშირის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ალბანეთის შრომის პარტიის პატივსაცემად. ქუჩაში გამოვიდა ქალაქის მთელი მოსახლეობა.

საბჭოთა სტუმრები და მათი თანმხლები პირები მიდიან დემონსტრანტთა მოედანზე, რომელსაც ასე ეწოდა 59 ალბანელი პატრიოტის პატივსაცემად, რომლებიც 1943 წელს ანტიფაშისტური დემონსტრაციის დროს დაიხვრიტნენ ოკუპანტების ხელით. მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. ქალაქის მოსახლეობის სახელით საბჭოთა სტუმრებს მიესალმა ალბანეთის შრომის პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რამადილი ჯანგალო. მან სიტყვა მისცა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჰიუსნი კაბოს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. შემდეგ მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი. მიტინგს მონაწილეენი მას მქუხარე ოვაციას უმართავენ. მოედანზე გაისმის მძლავრი „ვაშა“.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით და მოწონების შეძახილებით.

ᲙᲝᲠᲩᲐ, 29 მაისი. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა დღეს დაათვალიერეს სახელმწიფო მეურნეობა „მალიჩი“, რომელსაც 5 ათასი ჰექტარი მიწა აქვს და ძირითადად შაქრის ჭარხალი მოჰყავს. სახელმწიფო მეურნეობის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ილო პრიფტემ საბჭოთა სტუმრებს უამბო საწარმოო საქმიანობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისა და სახელმწიფო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი იყო მინდორში, აინტერესებდა მეურნეობის წარმოება, მთელი რიგი შენიშვნები და რჩევა-დარიგება მისცა სახელმწიფო მეურნეობის მუშაკებს.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები წავიდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ბულგარეცში“ — ალბანეთის ერთ-ერთ პირველ კოოპერატივში, რომელიც 1948 წელს შეიქმნა. ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა მეცხოველეობის ფერმა, აინტერესებდა საკვები ბაზა, პირუტყვის გასუქება და ძროხების წველადობა. კოოპერატივის წევრებთან მეგობრულ გულითად საუბარში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა უამბო საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ სსრ კავშირში, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შესახებ, გამოთქვა თავისი მენიშვნები და სურვილები.

გამოთხოვებისას კოოპერატივის წევრმა ქალიშვილებმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს კოოპერატივის ბაღებში მოყვანილი ვაშლით სავსე კალათები.

ალბანეთის შრომის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და კორჩის საქალაქო საბჭომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გამართეს სადილი, რომელშიც განსაკუთრებით გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საღამოს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები ტირანაში დაბრუნდნენ.

დათესილია 118 მილიონი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

ჩვენს ქვეყანაში მთავრდება საგაზაფხულო თესვა. 25 მაისისათვის კოლმეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში დათესილია 118 მილიონ 92 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

გასული ხუთდღიერი აღინიშნა საგაზაფხულო ხორბლის თესვის წარმატებით. ამ კულტურას უკავია 45 მილიონ ჰექტარზე მეტი. გეგმა შესრულებულია 101,1 პროცენტით.

ახლა საგაზაფხულო კულტურებით ითესება უკანასკნელი რამდენიმე მილიონი ჰექტარი. უკვე დაითესა 18 მილიონ ჰექტარი სიმინდი, ამისთვის გამოყოფილი ფართობის ცხრა მეათედზე მეტი. კარგად მიმდინარეობს კარტოფილის თესვა. უკვე დათესილია დაახლოებით ოთხი მილიონი ჰექტარი. მთავრდება საბოჭკოე სელის თესვა.

საგაზაფხულო კულტურების თესვა მიმდინარეობს ციმბირსა და ჩრდილოეთ ყაზახეთში. იქ უკვე არის საგაზაფხულო კულტურების კარგი აღმონაცენი. უზბეკეთსა და ტაჯიკეთში საშემოდგომო ხორბალმა გული გაიკეთა, ხოლო ქერი სიმწიფეში შედის. (საქდესი).

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. ლევუშკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკლო სამსახურისათვის დაჯილდოდეს გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს-ძე **ლევუშკინი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქ. თბილისი. 1959 წლის 29 მაისი.

სიმინდის ნათესების ჭვარედინი კულტივაცია სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში. (მარცხნიდან) აგრონომი ვ. მათეშვილი დავალებას აძლევს სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს ი. ბაიდოშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩაი ჩვენი რაიონის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. იგი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის უშრეტი წყაროა. შარშან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მრეწველობას მისცეს 17.405 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ანუ 725 ტონით მეტი გეგმასთან შედარებით, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.491 კილოგრამი. ამ მხრივ ქობულეთის რაიონი რესპუბლიკაში მტკიცედ დგას პირველ ადგილზე. კოლმეურნეობებმა შარშან მეჩაიეობიდან 95 მილიონამდე მანეთი მიიღეს, რაც მთელი ფულადი შემოსავლის 80 პროცენტს აღემატება.

მეჩაიეთა თავდადებულ შრომას კარგი შეფასებაც მიეცა. გასული წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით რაიონს მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო მთელი წლის შედეგებით რაიონი მეორე ადგილზე გამოვიდა. ოჩხამურის ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ ბოლომდე ღირსეულად შეინარჩუნა პირველი ადგილი ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის გაჩაღებულ ჯაჭვრებაში და მიეკუთვნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა შემქმედებითად განხორციელების, მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის შედეგად ცალკეული მეურნეობები და ადამიანები შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ხ. მერიციდი) შარშან მთელი მოსავლიანი ფართობის ჰექტარზე 6.474 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და საშუალოდ ჰექტარზე 6 ათას კილოგრამზე მეტი ნედლეული მიიღო. უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა, ბობოყვათის, ჩაისუბნის, ციხისძირის, ქვედა ულიანოვკის, ზედა ულიანოვკის, ახალსოფლის კოლმეურნეობები.

დაგვის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ს. ნეანიდი ხელმძღვანელობს, შარშან ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 4.100 კილოგრამამდე აიყვანა. საშუალოდ ჰექტარზე 7 ტონა ნედლეული მიიღო ბობოყვათის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი მ. გოგიტიძე ხელმძღვანელობს.

ნოვატორი მეჩაიეების — ასმათ ჯიჯავაძისა და გული ჯინჭარაძის მაგალითებით იზრდებიან უხვი მოსავლის საუკეთესო ოსტატები. ჩაისუბნის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფიქრია ყურშუბიძემ 0,5 ჰექტარ პლანტაციაში 6.067 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ფოთოლი მიიღო, ბობოყვათელმა ახალგაზრდა მეჩაიემ მაყვალა ჯინჭარაძემ — 6.380 კილოგრამი, ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სახელოვანმა ადამიანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ციხეაძემ — 6.500 კილოგრამზე მეტი და სხვ.

მაგრამ მიღწეული როდია საკმარისი. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა გაცნობისას ჩვენ ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონეთ შესაძლებლობანი და რეზერვები და ამის საფუძველზე შეგიმუშავეთ საკუთარი შვიდწლიანი გეგმა მეჩაიეობის დარგში. ამ გეგმის მიხედვით 1965 წლისათვის რაიონში ხარისხოვანი ნედლეულის წარმოება უნდა გაიზარდოს 21.200 ტონამდე, ხოლო საშუალო მოსავლიანობა 5.100 კილოგრამს მიაღწევს.

ამ უაღრესად პასუხსაგები დავალების სასახელოდ შესრულებისათვის ყველა საჭირო ღონისძიებას ვახორციელებთ. ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პლანტაციების სიმეჩხრესთან ბრძოლას. ახალი პლანტაციები დამატებით გაშენდება 510 ჰექტარზე.

მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა იკისრა წელს მრეწველობას მისცეს 150 ტონა ზეგეგმითი ჩაი. კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ გეგმის გადამეტებით მოკრეფს 30 ტონა ნედლეულს და საშუალოდ ჰექტარზე მიიღებს 6.600 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ჩაქვისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა; დაგველმა, ჩაისუბნელმა, ციხისძირელმა, ბობოყვათელმა, ხუცუბნელმა კოლმეურნეებმა.

მეჩაიეთა შორის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მიღებულია მახარაძის რაიონის მშრომელთა გამოწვევა და წელს გეგმით გათვალისწინებულ 17.400 ტონის ნაცვლად მოვკრეფთ 18.100 ტონა ჩაის ფოთოლს. ჩვენი მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ზუგდიდის რაიონის მეჩაიეები.

წლევანდელ მოსავალს მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი. წინა წლებთან შედარებით ჩაის ბუჩქების მოვლა-პატრონობა შესამჩნევად გაუმჯობესდა იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც რაიონის საშუალო მოსავალზე ნაკლებს იღებენ. ასეთთა რიცხვს მეკუთვნებიან ლეღვას, ალამბრის, გვარას, ფიჩენარის სასოფლო-სამეურნეო არტელები. ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები ახლა უკეთ აწყობენ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას და რაზმავენ კოლმეურნეებს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

სერიოზული ღონისძიება განხორციელდა ჩაის კრეფისათვის მოსამზადებლად. პლანტაციაში დამატებით აშენდა რამდენიმე ათეული ფარდული მკრეფავებისათვის. შეკეთებული და წესრიგზე მოყვანილია საპლანტაციო გზები. ყველა მეურნეობა უზრუნველყოფილია საკრეფ-გადასაზიდი ინვენტარით. საჭიროა კავშირმა დააჩქაროს საწვიმრების, ბრეზენტის შარვლების, ჭილოფის ქუდებისა და რეზინის ჩექმების მიწოდება, რომლებიც ეხოდენ საჭიროა მეჩაიეებისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფა მასობრივად გაჩაღდა. ქობულეთელი მეჩაიეები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ საყვარელი სამშობლოს სასახელოდ, წარმატებით გაანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს და მრეწველობას მისცემენ 700 ტონაზე მეტ ზეგეგმით ნედლეულს.

ა. ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ,
საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲝᲑᲐᲡ

ყველგან სუბტროპიკულ რაიონებში ჩაის მწვანე ფოთოლი უხვად არის. მოზღვავებული ფოთლის კრეფას ზოგიერთ რაიონში ვერ ასწრებენ. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთმა რაიონმა კარგი ინიციატივა გამოიჩინა და მეჩაიეობის რაიონების დასახმარებლად მუშახელი გაგზავნა. ამ მხრივ აღსანიშნავია ზესტაფონელთა თაოსნობაც. გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. გ. ხუსკივაძეს, რომელმაც გვიამბო:

— რაიონში ჩაის პლანტაცია მცირე რაოდენობით გვაქვს. ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა ჯერ კიდევ 25 მაისისთვის 158,3 პროცენტით გავანაღდეთ. შესაძლებლობა გვაქვს და ჩვენმა რაიონმა გადაწყვიტა ჩაის ფოთლის კრეფაში დახმარება გაუწიოს წალენჯიხის რაიონს. ორი კვირაა, რაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 150 სტუდენტი მუშაობს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ისინი აქ ფოთლის კრეფის მთელ სეზონში დარჩებიან. მათ დღემდე უკვე მოკრიფეს 29 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

ზესტაფონელთა ეს თაოსნობა მოწონების ღირსია.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲝᲑᲐᲡ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ

მისთვის ღირსშესანიშნავ პერიოდში შევიდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა კანონმა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ განსაზღვრა, თუ ახლებურად როგორ უნდა მოეწყოს მოზარდი თაობის აღზრდა და სწავლება.

ჩვენს ქვეყანაში ახლა მიმდინარეობს დიდი მოსამზადებელი საქმიანობა სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნისათვის. მიღებული კანონის განხორციელებისათვის მზადების პროცესში უკვე დაგროვდა სასარგებლო შრომასთან სწავლების შეერთების ძვირფასი გამოცდილება.

ახალი ამოცანების შესაბამისად სკოლის გარდაქმნისათვის წარმატებით ემზადება ობილისის მე-10 საშუალო სკოლა. აქ მიმდინარე წლის იანვრიდან მეცხრეკლასელი მოსწავლეები საწარმოო სწავლებაზე გადაიყვანეს და შრომასთან სწავლების შეერთების კარგი მაგალითი აჩვენეს.

ვაქვეყნებთ მასალებს, რომლებიც ასახავენ სკოლის პირველ ნაბიჯებს სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის შესახებ მიღებული კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში მორიგ მეცადინეობაზე. **ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲔ:** (მარცხნიდან) ვ. სუმბაძე, ვ. ვაჩეიშვილი (ოსტატი), ო. შატბეროვი და თ. მაჭავარიანი.

ფოტო ო. ხავთასისა.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲒᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲔ

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲐᲡ. კერძოდ, მე-7 სამკერვალო ფაბრიკას ადრევეც ვიცნობდი: აქ მთელი ათი წლის განმავლობაში მუშაობდა დედა. კერავდა რამდენადმე შესწავლილი მჭონდა მისგან. მაგრამ როცა ჩემს ამხანაგებთან ერთად უშუალოდ ჩავეცი საწარმოო ცხოვრებაში, შრომაში, დავინახე, რომ იგი გაცილებით საინტერესო ყოფილა, ვიდრე შორიდან მეჩვენებოდა.

ახლა უკვე თავისუფლად შემიძლია დამოუკიდებლად შევკერო ბავშვის ტანსაცმელი, მამაკაცის შარვალი, და იცით რა სიხარულსა და სიამაყეს ვგრძნობ, როცა ჩვენი ინსტრუქტორ-მასწავლებელი თამარ გვარჯელაძე ნამუშევარს მომიწონებს!

რაკი ოთხ თვეში ამდენს მივაღწიე, იმედი მაქვს სამი წლის შემდეგ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად ერთ-ერთ ოპერაციიდან მეორეზე ჯერ კიდევ ვერ ვბედავ. ვფიქრობ მალე დამოუკიდებლად მუშაობასაც შევძლებ.

ᲕᲘᲚᲘ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲔ.

* * *

ᲣᲙᲕᲔ ოთხი თვეა, რაც ჩვენი სკოლის მეცხრეკლასელი ვაჟები კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ვვდიგართ საწარმოო სწავლებას. ამ ხნის განმავლობაში უკვე გავეცანით და შევიყვარეთ მუშური ცხოვრება.

ჩვენ აქ სახარატო ხაქმეს ვსწავლობთ. ეს ოთლი ხელობა როდია. პირადად მე ჯერჯერობით იმას მივაღწიე, რომ შემიძლია ზოგი მარტივი ოპერაციის დამოუკიდებლად შესრულება, ხოლო ჩარხის დამოუკიდებლად გადაყვანას ერთი ოპერაციიდან მეორეზე ჯერ კიდევ ვერ ვბედავ. ვფიქრობ მალე დამოუკიდებლად მუშაობასაც შევძლებ.

ᲕᲘᲚᲘ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲔ.

* * *

ᲣᲜᲓᲐ გამოვტყდე, წინათ სულ სხვა თვალით ვუყურებდი საწარმოს და არასოდეს ფიქრად არ მომსვლია მუშა ან ინჟინერი გავმხდარიყავი. ახლა კი, სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობის რამდენიმე თვის შემდეგ, გულით მიყვარს ჩვენი საამქრო, მისი შესანიშნავი ადამიანები და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მთ გვერდით დავდგე, მათთან ერთად ვიმუშაო. იმედი მაქვს საწარმოო სწავლების პროცესში საფუძვლიანად დავეუფლები კერვის საქმეს და ფაბრიკის შრომისმოყვარე კოლექტივის ღირსეული წევრი ვიქნები.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, ორშაბათიდან — თორმეტი იანვრიდან მთელი კვირით ქარხანაში, ფაბრიკაში! წიგნების ნაცვლად სპეციტანსაცმელსა და მუშურ საგბალს ამოიღებენ იღლიაში, მასწავლებლების ნაცვლად საწარმოო სწავლების ოსტატებს წარუდგებიან, მერხების ნაცვლად ჩარხებსა და მანქანებს მიაშტრენენ... მთელი საჭირო მზადება წინასწარ შესრულდა. სკოლის დირექციამ და რაიონულმა განათლების განყოფილებამ მეცხრეკლასელების საწარმოო სწავლებაზე გადაყვანის განზრახვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აცნობეს და შეუთანხმეს. საწარმოთა დირექციებმა იზრუნეს შეეძლოთ ახალგაზრდობისათვის შრომისა და სწავლის პირობები. საამქროებში, სადაც ისინი მიამაგრეს სამუშაოდ, ახალი მანქანები და მოწყობილობა დადგეს, თეორიული მეცადინეობებისათვის ცალკე ოთახები გამოჰყვეს, მოსწავლეებს ხელმძღვანელად გამოცდილი მუშები, ოსტატები, ინჟინრები დაუნიშნეს.

მეუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებაზე გადაყვანისათვის მზადება ადრევე დაიწყო და ეს წინასწარ იცოდნენ ქარხანაშიც, სკოლაშიც, შინაც, ახლა მაინც ყველას აღელვება ეტყობოდა: რა გამოვა აქედან, რა შედეგი მოჰყვება ამ საქმეს?

„ვაი თუ სწავლაზე გული აიცრუონ!“ — შიშობენ მასწავლებლები, „რა გაძლებს კვირაფდე კვირამდე ქარხანაში!“— წუხდნენ მოსწავლეები, „დავიღუპეთ, ჩამოგვირჩენიან ბავშვები სწავლაში!“ — შეშფოთებული იყვნენ მშობლები. არც ქარხანაში მიელოდნენ ახალგაზრდებს დიდი ხალისით. მუშები და საწარმოო სწავლების ოსტატები ბუზღუნებდნენ: „რაში გამოგვადგებიან ესენი, ჩვენ ისეთი შეგირდები გვეჭირდება, რომლებსაც მართლაც ქარხნის ენა მიეუნავთ გული და სურვილი აქვთ მხარში ამოგვიდგნენ, თორემ ესენი რა! ერთ კვირას მოალენ, ცოტა რაღაცას ისწავლიან, წაიმუშავებენ, მომდევნო კვირას ისევ სკოლაში გაიქცევიან და, ვიდრე ისევ ქარხანაში დაბრუნდებოდნენ, რაც ისწავლეს, ისიც დავიიწყებდათ. ჩვენს საქმესაც მოვცდებით და ამათგანაც არაფერი გამოვა!“.

ეჭვობდნენ, შიშობდნენ, მაგრამ ყველას აინტერესებდა. რა ნაყოფს გამოიღებდა ეს ახალი წამოწყება — მოსწავლეთა გადაყვანა საწარმოო სწავლებაზე.

და აი მივიდნენ საწარმოში თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები — გოგონები მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში, ვაჟები კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხანაში.

ეჭვები და შიში არ გამართლდა. მოსწავლეები მეტად ბეჯითი შეგირდები გამოდგნენ. ისინი თავიდანვე დიდი ინტერესით მოეკიდნენ ხელობის შესწავლას. და კარგადაც ითვისებენ საქმეს, ადვილად გაუგეს მანქანებს.

ერთი კვირის შემდეგ, როცა მოსწავლეები კვლავ სკოლას და გაკვეთილებს დაუბრუნდნენ, იმდენი რამ ჰქონდათ ერთმანეთისათვის სათქმელი და საამბობი, რომ შესვენების წუთები არ ჰყოფნიდათ.

„იცით, რა კაცია ჩემი ხელმძღვანელი ივთანდილ მაცაბერიძე, ვისთანაც ჩარხზე ვმუშაობ. ნამდვილი ოსტატი! აი მოიტანეს რაღაც უშნოდ გამოკვერილი თუ ჩამოსხმული რკინის ნაჭერი, თუ გამოცდილი და დაკვირვებული არა ხარ, ვერც მიხვდები, რა უნდა გამოჩარხო აქედან. და ეს რკინის ნაჭერი მაცაბერიძის ხელში რამდენიმე წუთში გაკრიალებულ დეტალად იქცევა. აიღე და გაზომე რომელი მხრიდანაც გინდა — ზუსტია, მეასედ მილიმეტრ განსხვავებასაც ვერ იპოვნი. აი ასეთი ხარატი რომ გავხდებოდე, მესმის!... — უამბობდა თანაკლასელ გოგონებს როლანდ დემეტრაშვილი.

ბიძინა ჯღარკავა ამაყად აჩვენებდა დაჭეყილ თითს ამხანაგებს და დიდი ამბით უყვებოდა, როგორ გაუვარდა ხელიდან ახალგაზრდული ცხელი დეტალი და როგორ დაარტყა თითზე.

— იცით, მე უკვე შემიძლია ბიჭის მოკლე შარვლები გამოვაჭრა და დავბლანდო კიდეც. ნამუშევარი მომიწონა ოსტატმა მარიამ კერესელიძემ... — ამბობდა ემა გურული.

— მართლა? უკვე შეგიძლია გამოჭრა და შეკერო? — გაოცდნენ ბიჭები. — ყოჩაღ! გამოდის, რომ შენი შეკერილი შარვალი უკვე აცვიათ...

— არა, მოიცათ. ჯერ მხოლოდ ქაღალდებს გვაჭრეინებენ, გაიგეთ.

ბიჭებმა ამაზე სიცილი და ერთი ამბავი ატეხეს.

ემას შერცხვა.

— რა იყო, რა მოგივიდათ! ამა პირველად ქსოვილს ხომ არ გაგვაფუჭებინებენ. ოსტატმა მითხრა ცოტას კიდევ გაივარჯიშებ და ნამდვილ შარვალს შეგაკერინებო.

ოლეგ შატბეროვი ჩამდგარიყო მეთოლეებში და ტრაბახობდა: ჩემი გამოჩარხული დეტალი ტექნიკურმა კონტროლორმა უსტაყვოდ მიიღო. ბევრი სინჯა, მაგრამ წუნი ვერაფერში დასდო.

ეს იყო პირველ დღეებში. ხოლო მერე და მერე გაცილებით მეტი ჰქონდათ ერთმანეთისათვის საამბობი. უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს თანაკლასელი გოგონები და ბიჭები, უყვებოდნენ თავიანთ პირველ წარმატებებზე — დაზზარად ამ საინტერესო საუბარს მთელი სკოლა ისმენდა.

ჯერ მხოლოდ ოთხი თვე გავიდა ამ დღიდან, პირველად რომ მივიდნენ საწარმოში ემა გურული, დალი კოკოშვილი, ეთერ ბოლოთაური, ალადმერ განდარეული, თეიმურაზ მაჭავარიანი და მათი ამხანაგები, მაგრამ უკვე არაფრით არ გვანან ისინი ამ ახალბედებს ყველაფერი რომ უკვირდათ და ეუცხოვებოდათ. როლანდ დემეტრაშვილს მიეღწეველ სასწაულად როიღა ეჩვენება თავისი ხელმძღვანელის ხარატ ივთანდილ მაცაბერიძის ოსტატობა, რადგან ახლა მასაც შეუძლია მეთოდი მილიმეტრის სიზუსტით გამოჩარხოს დეტალი; ოლეგ შატბეროვი აღარ ტრაბახობს, ჩემი ნახელავი ტექნიკურმა კონტროლორმა შეიფერებლად მიიღოო, რადგან ახლა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვის და მისი ამხანაგებისათვის. ბიძინა ჯღარკავა აღარ ამაყობს დაჭეშეული თითით, რადგან მისმა ხელები უკვე ისედაც ჭკვიან გამრჯე და მშრომელი კაცის ხელებს, ემა გურულს არ დასცინიან ბიჭები ქაღალდის შარვლების გამოჭრისათვის, რადგან ის და მისი ამხანაგები უკვე ნამდვილ შარვლებს აკერავენ.

ბახარეული და დაშვიდებული არიან მასწავლებლებიც, მშობლებიც, რადგან ბავშვებმა არათუ გული არ აიყარეს სწავლაზე, არამედ უკეთესად სწავლობენ: არ ბიზღუნებენ მუშები და ოსტატები, რადგან მოსწავლე გოგონება და ბიჭები საკეთესო, საქმიზე გულდადებული შეგირდები გამოდგნენ.

...და ყველა გრძნობს, რომ ანახლებს სიო უბერავს და ახალი შინაარსით, ახალი სილამაზით ავსებს ცხოვრებას.

მ. ᲛᲘᲥᲐᲫᲔ.

ᲜᲐᲮᲐᲖᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲔᲗ

ᲮᲐᲖᲘᲡ წინათ საშუალო სკოლაში მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა. ახლა კი, როცა ძალაში შევიდა კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ და უკვე პრაქტიკულად ხორციელდება სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა, ხაზის ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა ეჭიროს საშუალო სკოლის სასწავლო დისციპლინებს შორის. თუ საფუძვლიანად არ იცის ხაზი, ისე ახალგაზრდა ვერ მივა საწარმოში. მით უფრო ვერ გახდება კვალიფიციური მუშა. თუ ნახაზებისა და სქემების შედგენა და მათი წაკითხვა არ შეგიძლია, უმარტივეს მანქანასაც ვერაფერს გაუგებ, უბრალო დეტალს ვერ გააკეთებ სათანადოდ.

საშუალო სკოლაში ხაზვის სწავლების ახლანდელი დონე სრულიად ვერ აკმაყოფილებს შრომითი სწავლა-აღზრდის დღევანდელ ამოცანებს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა შემუშავებულ იქნას ამ საგნის ახალი პროგრამა და სწავლების მეთოდი. ამჟამად ჩვენი სკოლის მეცხრეკლასელები ქარხანაში საწარმოო სწავლების გავლისას ცალკე, სასკოლო პროგრამისგან დამოუკიდებლად თვიდან იწყებენ ხაზვის შესწავლას. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. უნდა შედგეს სკოლაში ხაზვის სწავლების ერთიანი პროგრამა და იგი უნდა ისწავლებოდეს წარმოებასთან, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

ა. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ,
ინჟინერი-პედაგოგი.

ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. მას შემდეგ, რაც პარტიული სწავლების ყველა რგოლში დაიწყო სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა, კიდევ უფრო ამაღლდა მსმენელთა ინტერესი, პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონე; ყრილობის გადაწყვეტილებების, შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესწავლა შემოქმედებითი, ცოცხალი, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული გახდა. ეს ცხადყო პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ორწლიან ეკონომიურ სკოლაში. წრეებსა და თეორიულ სემინარებში დღემდე მოწყობილმა შემაჯამებელმა მეცადინეობამ, რაც მთლიანად პარტიის XXI ყრილობის მასალებს მიეძღვნა.

ეკონომიურ სკოლაში, რომელშიც ქალაქის საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები არიან გაერთიანებული, შემაჯამებელი მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო. სკოლის მსმენელებმა ცოცხალი მსჯელობის ფორმით განიხილეს პარტიის XXI ყრილობის მეერ დაყენებული უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

სკოლის მსმენელმა ქუთაისის № 3 ავტობაზის დირექტორმა ჰ. ქურციკიძემ თავის გამოსვლაში ღრმად და საფუძვლიანად გააშუქა შვიდწლედში სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების საკითხები, ამასთან ყურადღება გაამახვილა ტექნიკური პროგრესის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე. საკონდიტრო ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ა. ხურციძემ ილაპარაკა შვიდწლედში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ქ. ქუთაისის მრეწველობის ზრდის პერსპექტივებზე, დაწვრილებით შეეხო კვების მრეწველობის ზრდა-განვითარების საკითხებს. ყრილობის მასალების საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე კავშირგაბმულობის საქალაქო კანტორის უფროსმა ლ. გაგოშიძემ, „ქელასის“ დირექტორმა ა. ჩავჩიძემ, ქალაქის სამრეწველო კომბინატის კვების წარმოების დირექტორმა ნ. ლევიძემ და სხვებმა.

საინტერესოდ წარიმართა შემაჯამებელი მეცადინეობა აბრეშუმკომბინატის № 1 საქსოვი საამქროს პარტორგანიზაციასთან შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ წრეში. პროპაგანდისტმა ვ. სალაძემ მეცადინეობაზე გამოიტანა ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მსმენელთა აქტივობას, ყრილობის მასალების ღრმა თეორიულ გაგებას.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და ყრილობის რეზოლუციაში წამოყენებული თეორიული საკითხების ღრმა ცოდნა გამოავლინეს წრის მსმენელებმა კომუნისტებმა დ. შველიძემ, ს. ყალმახელიძემ, ნ. აფრიდონიძემ, კომკავშირელებმა ლ. ხვინგიამ და ლ. ხურციამ. შემაჯამებელი მეცადინეობის შემდეგ მოეწყო სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი კრება, რომელსაც წრეში გაერთიანებული 13 ამხანაგის გარდა დაესწრნენ პროპაგანდისტი ვ. სალაძე და საამქროს პარტბიუროს მდივანი ვ. ქასრაშვილი.

კრებაზე ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთეს წრის მუშაობას: გამოითქვა სურვილი, რომ ზომავალ სასწავლო წელს კვლავ განაგრძონ მეცადინეობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ წრეში. ამასთან წრის მსმენელებმა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვეს ზაფხულის პერიოდში განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი ყრილობის მასალების შესწავლისა და ფართო განმარტებისათვის, ამ მიზნით მოაწყოს კვალიფიციური ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები საკრის ღონისძიებებს ახორციელებენ შემაჯამებელ მეცადინეობათა ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე მოწყობისათვის.

შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲖᲔ

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ მსმენელები ადრე შეგროვდნენ და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის შემაჯამებელი მეცადინეობის დაწყებამდე მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსის მოადგილე, პროპაგანდისტი კ. გრუშევსკი კომუნისტებს საერთაშორისო საკითხებზე ესაუბრებოდა.

აი შემაჯამებელი მეცადინეობის დროც მოვიდა. პროპაგანდისტმა ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მილსაგლინავი საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების დარგში გასწია.

— დღეს, — თქვა მან, — აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ შეგაჯამოთ ის ცოდნა, რომელიც წლის მანძილზე მივიღეთ. როგორც ცნობილია, პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წლის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი სკკპ XXI ყრილობის მასალების შესწავლას დაეთმო. ამ ხნის მანძილზე საფუძვლიანად შევისწავლეთ ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“ და ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებანი. დღეს ძირითადად ამ მასალებზე გვექნება საუბარი.

პროპაგანდისტს საკვანძო სასაუბრო კითხვები წინასწარ მოემზადებინა.

— ვის შეუძლია ილაპარაკოს ახალი შვიდწლედის მთავარი ამოცანების შესახებ? — ასეთი იყო პირველი კითხვა, რომელიც პროპაგანდისტმა დასვა.

ლითონის ცივად დამუშავების განყოფილების ბრიგადირი ბ. თითბერიძე დინჯად, მოფიქრებულად ლაპარაკობს შვიდწლიანი გეგმის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე. შვიდწლედში ეკონომიკის ყველა დარგში მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე, — ამბობს იგი, — წარმოების ისეთ ზრდას უნდა მივაღწიოთ

სიახლე საბჭოთა ვაჭრობაში

საქონელი გაიყიდება განვადებით

საუბარი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრთან ამხ. მ. ღვინჯილიასთან

მოახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ჩვენი რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ბრძანებით 1 ივნისიდან შემოღებული იქნება ზოგიერთი საქონლის გაყიდვა ღირებულების ნაწილ-ნაწილ, განვადებით გადახდით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. მ. ღვინჯილიამ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა მშრომელთა ყოფაცხოვრების, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ახლა პარტია და მთავრობა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მამასწინანდელ პლენუმზე დაისახა ვაჭრობის პროგრესული ფორმების განვითარების მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის საქონლის გაყიდვა ნაწილ-ნაწილ, განვადებით გადახდით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სახის ვაჭრობა უკვე დანერგილია რუსეთისა და უკრაინის მთელ რიგ ქალაქებში, რითაც მოსახლეობა დიდად კმაყოფილია.

მოძმე რესპუბლიკების ვაჭრობის ეს მეთოდი შეგისწავლეთ და ახლა ვნერგავთ საქართველოს რესპუბლიკაში. ამ მიზნით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გასწია წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოები. ინსტრუქტაჟი გავუწიეთ სავაჭრო ორგანიზაციებისა და მაღაზიების მუშაკებს.

საქონლის ღირებულების განვადებით გადახდისათვის თბილისში გამოყოფილია 7 მაღაზია, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში — ორ-ორი, ხოლო სტალინირში, ჭიათურაში, ფოთში, გორში, რუსთავში, ტყიბულში, ტყვარჩელსა და ზესტაფონში — თითო მაღაზია. საქონელი ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდით მიეყიდებათ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მას შემდეგ, რაც ისინი მაღაზიაში წარადგენენ საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაციის ან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საგარანტიო წერილს, აგრეთვე პასპორტს. საქონლის შეძენისას მყიდველი გადაიხდის მისი ღირებულების 20 პროცენტს, ხოლო დანარჩენ თანხას — 6 თვის განმავლობაში ყოველი თვის 10 რიცხვამდე თანაბარ ნაწილებად.

იმ საქონლის სიაში, რომელიც გაიყიდება ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდით, შედის ზოგიერთი მარკის ფოტოაპარატები „მოსკვა“, „ფედი“, „ზორკი“, „ზენიტი“, „კიევი“, რადიოლები „ვოსტოკი“, „ოქტავა“, „მურომეცი“, „დრუჟბა“, ელექტროფირსაკრავები, რადიოგრამოფონები, მაჯის საათები „ურალი“, „ზვეზდა“, „პობედა“, „კამა“, „ზარია“, მოტოროლერები „ტ-200“, რადიომიმღებები „ზვეზდა“, „ტურისტი“, საკერავი მანქანა „ტულა“, სეპარატორი „ვოლგა“ და სხვ.

ჯერჯერობით ერთ მყიდველს მიეყიდება მხოლოდ ერთი საგანი. მას უფლება ეძლევა გადაიხადოს საგნის ღირებულება ვადაზე ადრე. ახლო მომავალში მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება ერთდროულად შეიძინოს მისთვის საჭირო რამდენიმე საგანი. ყოველივე ეს ჯეროვნად დააკმაყოფილებს საბჭოთა მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებას.

ვაჭრობის ამ ფორმის დაწყების პირველ დღეებში სავაჭრო ორგანიზაციებმა მეტი ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ. მათ სერიოზული გამოცდა უნდა ჩაბარონ, კულტურულად მოემსახურონ მომხმარებლებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით გაიზრდება მოთხოვნილება ისეთ საგნებზე, როგორიც არის სხვადასხვა მარკის ფოტოაპარატები, მოტოროლერები, რადიომიმღები „ტურისტი“ და სხვ. ასეთი სახის ნივთები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ტურისტული მოგზაურობისათვის.

გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო გავზარდოთ ასეთი ფორმით ვაჭრობის ქსელი.

საქართველოს ვაჭრობის მუშაკები იბრძოლებენ იმისათვის, რომ უფრო კულტურულად, თავის დროზე მიაწოდონ მომხმარებელს მისთვის საჭირო საქონელი.

ქართველ მეცნიერთა შრომები რუმინეთში



სულ უფრო იზრდება თანამეგობრობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა და ცალკეულ სპეციალისტთა შორის.

შარშან ქ. იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის დ. თავხელიძის შრომა „მცოცავი ხუთრგოლიანი მექანიზმის რგოლების მდგომარეობათა პოვნა“. აღნიშნულმა შრომამ დიდი ინტერესი გამოიწვია რუმინელ სპეციალისტთა შორის. აკადემიკოს დ. თავხელიძის შრომები გავზავნილ იქნა აგრეთვე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ქვეყნების მეცნიერთა მოთხოვნით.

ქ. იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომების რედაქციის მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ქართველ მეცნიერებთან. სამეცნიერო ჟურნალში „იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოამბე“ გამოქვეყნებული იყო ი. ვეკუას, გ. შხვიცაბაიას, ი. ლომსაძის, ნ. ცაგარელისა და სხვათა შრომები.

სურათზე მოცემულია „იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოამბეში“ გამოქვეყნებული დ. თავხელიძის შრომის გარეკანი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

28 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემენოვმა მიიღო ირანის ელჩი მოსკოვში ბ-ნი ა. მასუდ-ანსარი და გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია სსრ კავშირში ირანის საელჩოს ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ამ ბოლო დროს იყო ირანის ხელისუფალთა პროვოკაციული მოქმედების ფაქტები, მიმართული თეირანში საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ.

ა. წ. 9 მაისს ირანის პოლიციის ოფიცერმა თეირანის ცენტრალურ ქუჩაში ლალეზარზე სრულიად უსაბაბოდ სახეში გაარტყა თეირანში სსრ კავშირის საელჩოს პრესის განყოფილების ექსპედიტორს ბაშთეზს, როცა მას დასარიგებლად მიჰქონდა ბიულეტენი „აჰბარი“ („საკდესის ინფორმაცია“), რომელსაც საბჭოთა საელჩოს პრესის განყოფილება უშვებს.

14 მაისს პოლიციის ხელისუფლებმა დააპატიმრეს ხსენებული ექსპედიტორი ბაშთეზი და შოფერი ყულიევი, რომლებსაც ოფიციალური მისამართებით და თეირანის გაზეთების რედაქციებში საელჩოს ავტომანქანით მიჰქონდათ საელჩოს აღნიშნული ბიულეტენი „აჰბარი“ და ჟურნალი „სოვეტსკი სოიუზი“, ბაშთეზი და ყულიევი არიან თეირანში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები ირანის ქვეშევრდომთაგან.

ამასთან დაკავშირებით ირანის პრესაში, თითქოს ბრძანებით, დაიწყო ცილისწამების კამპანია საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ. ავრცელებენ სულელურ მტკიცებას, თითქოს საელჩო ხსენებული პირების მეშვეობით ავრცელებდა რაღაც „აკრძალულ“ ფურცლებსა და პროპაგანდისტულ მასალებს, თუმცა საელჩოს აღნიშნული ბიულეტენი თეირანში გამოდის არსებული წესების შესაბამისად მრავალი წლის მანძილზე და იმავე საფუძველზე, რა საფუძველზეც გამოდის და ვრცელდება თეირანში სხვა უცხო საელჩოებისა და მისიების მრავალი ბიულეტენი და გამოცემა. ცდა, რომ ამასთან დაკავშირებით საბჭოთა საელჩოს მიაწერონ რაღაც აკრძალული საქმიანობა და ამისათვის სდევნონ საელჩოს თანამშრომლები, აშკარა დისკრიმინაციაა სსრ კავშირის საელჩოს მიმართ და უხეშად არღვევს საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნორმებსა და ჩვეულებს. ფაქტიურად ეს არის ირანის ხელისუფალთა ცდა აუტანელი პირობები შექმნან საელჩოს მუშაობისათვის. ამას მოწმობს აგრეთვე ხელისუფლებთან ახლო მდგომი პრესის მოთხოვნები, რომ გაუსწორდნენ საბჭოთა თანამშრომლებს თეირანში. შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ისეთ ფაქტებს, როგორიც არის, მაგალითად, გაზეთ „ჯაჰანის“ გამოსვლები, რომელიც მოუწოდებს „დაიკავონ“ და „სახრჩობელაზე გაგზავნონ“ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები. ამას უნდა დავუმატოთ, რომ საელჩოში იგზავნება აშკარად ინსპირირებული ერთისა და იმავე ტიპის წერილები, რომლებშიც ფიზიკური მოსპობით ემუქრებიან საელჩოს თანამშრომლებს. ამავე დროს, მიუხედავად საბჭოთა საელჩოს შესაბამისი წარდგინებებისა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, ამგვარი მტრული გამოსვლები არ წყდება.

როგორც ცნობილი გახდა, 19 მაისს ირანის ხელისუფალთა ნებართვით სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომელი მივიდა საკანში, სადაც მოთავსებული არიან ბაშთეზი და ყულიევი. ამ უკანასკნელებმა უამბეს, რომ დაკითხვის მსვლელობაში გამომძიებლები აშინებდნენ მათ, აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ ხელი მოეწერათ განცხადებისათვის იმის შესახებ, რომ ისინი „საელჩოს ხელმძღვანელთა მითითებით არიგებდნენ ანტისაბჭოელმწიფოებრივ ფურცლებსა და გამოცემებს“. ამგვარი „განცხადებების“ ხელმოწერაზე ყულიევმა და ბაშთეზმა უარი თქვეს.

სამინისტროს არ შეუძლია ირანის ხელისუფალთა ამგვარი მოქმედება არ მიიჩნიოს უხეშ პროვოკაციად თეირანში საბჭოთა საელჩოს მიმართ, რაც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის გაუარესებას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოელის, რომ ირანის შესაბამისი ორგანოები დაუყოვნებლივ მიიღებენ ღონისძიებებს, რათა აღკვეთონ ირანის ხელისუფალთა ხსენებული პროვოკაციული მოქმედება, და შექმნიან პირობებს საელჩოს ნორმალური მუშაობისათვის“.

ელჩმა განაცხადა, რომ ნოტის ტექსტს გადასცემს ირანის მთავრობას.

დედაქალაქის „წვრილმანებზე“

1. მზის და ვარდების მხარეო...

ვის არ ხიბლავს, ვის არ ახარებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მიმზიდველი პროსპექტები, ქუჩები, ფვრად-ფვრადი ყვავილებით დახატული ბაღები, გზონები...

მრავალი მშრომელი ყოველდღიურად საკუთარი ხელით რგავს მცენარეს, გულისხმიერად უვლის მას, კიდევ უფრო ამშვენებს და აკეკლუცებს მშობლიურ ქალაქს, საამაყო, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-იქ გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი სამარცხვინო მოქმედებით გამრჯე ადამიანებს ლაქას სცხებენ.

იმ დღეს, როცა წიწვიანი ბუჩქებით დატვირთული ავტომანქანების კოლონები ოქტომბრის კიკლიუც ქუჩაზე მიჰქროდნენ, ვალერიან ზარიძე და შოთა არაბული კოლექტივიზაციის ქუჩის დასაწყისში სასადილოში სულმოუთქმელად ერთსა და იმავეს ღილინებდნენ: თბილისო, მზის და ვარდების მხარეო...

როცა გარეთ გამოვიდნენ, თბილისო, ჩემო თბილისოს უკვე მთელი ძალით გაპკიოდნენ...

მაგრამ სამარცხვინო და გასაკიცხი ის არის, როცა კაცი სიტყვით თბილისის მზეს ფიცულობს, საქმით კი დედაქალაქის მშვენებას აჩინაგებს.

ვალერიან ზარიძეს რატომღაც არ მოეწონა ჟინო „საქართველოს“ წინ დარგული მოშრიალე ხეები.

— ეს გუშინ აქ არ იდგა, არ მომწონს, — თქვა და უმალვე მცენარე მოგლეჯა, დაამტვრია...

— ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო, — დაიძახა შოთა არაბულმა და ახლა ის მივარდა მეორე ბუჩქს. ძმაბიჭებმა გული იჯერეს, რამდენიმე ხე მოსპეს.

ერთ-ერთმა მოქალაქემ თავი ვერ შეიკავა, მიიჭრა ხულიგნებთან.

ვინც ხელყოფს თბილისის მწვანე ნარგავებს, თავზე ხელს არავინ გადაუსვამს...

2. რა სახელი აქვს და რა არის!..

დიდებული მოქალაქენი სიხარულით მიდიოდნენ ახალ № 12 ავტობუსაკენ...

— ეჰ, ქარე, ეჰ, ქარე, ძმობილო, თორემ თუ წვიმა მოვიდა, მორჩა,— თქვა ერთმა.

— როგორ, რაზე მეუბნებით? — გაოცდა თანამგზავრი.

— ალბათ პირველად მიდიხართ ახალ ავტობუსი, ცუდად იცით?

— ავტობუსში? კი, — ღიმილით უპასუხა. ესა თქვა თანამგზავრმა, რომ სწორედ ამ დროს ბაღის ქუჩაზე გავიდნენ, საოცარ სურათს წააწყდნენ: ამ ქუჩის ერთ მცხოვრებს შარვლის ტოტები ამოეკაპიწებინა და ისე მიარღვევდა შეგუებებულ წყალს.

— ვაი ჩირკეფილო, ქუჩას რა სახელი აქვს და რა არის, — გულნატკენად წაილუპარაკა პირველმა.

მათ ისიც თქვეს, ზოგიერთს ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონიათ. ვისი მისამართით ან რაზე იყო ეს ნათქვამი, ამას ალბათ ან სტალინის რაისაბჭოს ალმასკომის ან თბილისის საქალაქო საბჭოს ალმასკომის მუშაკები გეტყვიან.

მაგრამ ყოფილან კი ისინი უკანასკნელ ხანებში ბაღის ქუჩაზე?

ა. სხვაველი.

ხეხილის ბაღები მთაში

თელავი. (ჩვ. კორ.). სოფელი თეთრწყლები ცივგომბორის ჩრდილოეთ კალთებზე, ზღვის დონიდან ათასოთხასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეებმა საკარმიდამო ნაკვეთებზე ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ბალი დარგეს. ხილის მოსავალი უხვი მიიღეს, გემოც საუკეთესო აქვს. ამიტომ იყო, რომ წელს კოლმეურნეობის გამგეობამ ხეხილის ბაღების გაშენება გადაწყვიტა. 13 ჰექტარზე დარგულ იქნა ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და ბლის საუკეთესო ჯიშის ნერგები. მომავალი წლის გაზაფხულზე კიდევ 15 ჰექტარ ბაღს გააშენებენ.

პენსიონერთა თაოსნობა

მოქალაქეებს ალბათ შეუმჩნევიათ ზოგიერთი ქუჩაში დარბაისელი, ადამიანები წითელი სამკლაურებით, რომლებიც ხშირად თვალს ადევნებენ პატარებს, წესრიგისაკენ მოუწოდებენ მოქალაქეებს, ყურადღებას აქცევენ ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვას და სხვ. ესენი არიან თბილისის ორკონიკიძის რაიონის პენსიონერები, რომლებმაც შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს — გადაწყვიტეს ჩაებან სასარგებლო საქმიანობაში.

რაიონში 14.800 პენსიონერია. მათმა უმრავლესობამ სურვილი განაცხადა მოუაროს რაიონის მწვანე ნარგავებს, დაიცვას ქუჩებში სანმუშო წესრიგი და სისუფთავე. ამისათვის მათ რაიონი დაჰყვეს საგუშაგო უბნებად და რიგრიგობით მორიგეობენ. პენსიონერებმა ამ გზაზე დადგა და მაღალმთიან, რკინიგზისათვის მიუვალ ადგილებში მდებარეობს. გამომუშავებული სივრცის გამაგრება აქ მეტად გაძნელებულია და ძვირი ჯდება. 3-4 მეტრი სიგრძის და 30-40 სანტიმეტრი დიამეტრის ხის ბიგების შეტანა და დაყენება ციცაბოდ დაქანებულ სანგრევებში, ცხადია, ადვილი საქმე არ არის.

ინსტიტუტის კვლევითმა ბრიგადამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სამთო ინჟინრები გ. ჩიტიაშვილი, თ. სულხანიშვილი, ნ. ზამულენკო, ვ. ლორთქიფანიძე და ამ წერილის ავტორები, ჩორდის ბარიტის მაღაროში გამომუშავებულ ბლოკში დააყენა ოთხი სხვადასხვა ტიპის შტანგური სამაგრი.

შტანგების დამზადებისა და დაყენების ყველა პროცესზე ბრიგადა ახდენდა ქრონომეტრულ დაკვირვებებს, რის საფუძველზე დადგენილ იქნა შტანგების დამზადებისა და დაყენების ნორმატივები და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ცდებმა დაადასტურა, რომ ჩორდის ბარიტის მაღაროებში შტანგური გამაგრება ბევრად უკეთესია ხის ბიგებით გამაგრებასთან შედარებით. შტანგური სამაგრი საიმედოა და ადვილად მოსახმარი. სანგრევში დაყენებული ერთი შტანგის ღირებულება ორჯერ უფრო ნაკლებია ერთი ბიგის ღირებულებაზე, ხოლო 1 ტონა ამოღებულ მადანზე შტანგური სამაგრის საერთო ხარჯები სამჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ხის სამაგრების ღირებულება.

ჩორდის ბარიტის საბადოში მიმდინარე წელს შტანგურ სამაგრს ფართო მასშტაბით გამოიყენებენ.

ო. კარბელაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ე. რეხვიაშვილი,
სამთო ინჟინერი.

* * *

სურათზე: ჩორდის ბარიტის საბადო. მაღაროს უფროსი ო. მინაძე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო სექციის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი გ. ჩიტიაშვილი მაღაროში ცდიან შტანგებს.



ჩვენი ისტორია და ფილმი „მაია წყნეთელი“

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ისტორიის არაერთი საინტერესო პერიოდი ყოფილა მხატვრულად ხორცშესხმული კინოეკრანზე თუ თეატრების სცენაზე. ჩვენს დრამატურგებს, რეჟისორებსა და შემსრულებლებს ბევრი კარგი, მამულიშვილური, სამახსოვრო სურათი შეუქმნიათ და მაყურებლის გულწრფელი მადლობაც დაუმსახურებიათ.

რა თქმა უნდა, მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების ძირითადი ამოცანა აწმყოა, თანამედროვე ადამიანის მაღალი მოთხოვნილების ასახვა და დაკმაყოფილებაა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ აწმყოს გაგება წარსულის სწორ გაგებაზეც არის დამოკიდებული.

ისტორიულ თემაზე მუშაობისას დრამატურგებს თუ კინოდრეჟისორებს, ჩვენი აზრით, შემდეგი ძირითადი ამოცანა უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული: ისტორიული სინამდვილე არ დაამახინჯონ, წარსულის გმირული მაგალითების ჩვენებით ხელი შეუწყონ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს, დაკმაყოფილონ მაყურებლის მაღალი ესთეტიკური მოთხოვნილებანი.

თუ ამ მოთხოვნილებას წაუყენებთ „მაია წყნეთელს“, დავინახავთ, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის. რა თქმა უნდა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე მცდარია. არა, ზოგი ეპიზოდი კარგად არის წარმოსახული (ამილახვრიანთ ეზოში ბერიკაობა, სოფლის სურათები და სხვ.). მაგრამ ამ კინოფილმის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისტორიული სინამდვილე ყალბად არის გაგებული, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საერთოდ არ არის გაგებული.

„მაია წყნეთელი“ სულ ახლახან გამოვიდა ეკრანზე, მაგრამ მნახველთა უკვე მრავალი წერილი მივიღე. მთხოვენ, როგორც სპეციალისტმა, ჩემი სიტყვა ვთქვა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია საზოგადოებრივ აზრს გამოვეხმაურო. უპირველესად ყოვლისა, მინდა აღვნიშნო შემდეგი.

თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის განვითარება იმ დონეზე ავიდა, რომ აღარ შეიძლება ესა თუ ის მხატვარი, შემოქმედი ყველაფრის მცოდნედ ვაცხადებდეს და თავის მოღვაწეობაში სხვისი დახმარება არ სჭირდებოდეს. ისტორიას ჩაბარდა ე. წ. „ენციკლოპედისტობის“ პერიოდი, როცა ესა თუ ის ადამიანი ყველაფრის მცოდნედ ითვლებოდა. როგორც ჩანს, „მაია წყნეთელის“ მესვეურებმა მიიჩნიეს ერთი რამ: მათ საქართველოს წარსული ისე კარგად იციან, რომ სათანადო სპეციალისტების დახმარება არ სჭირდებათ, თვითონ გაართმევენ თავს. ამ ძველებურმა „აზნაურულმა თავმოყვარეობამ“, სამწუხაროდ, საქმეს ავნო, კარგ თემაზე დაწერილი მდარე ხარისხის ნაწარმოები მივიღეთ.

ფილმის ერთი უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ნაწარმოების მიხედვით ერეკლეს ეპოქის საქართველოს ფეოდალური საზოგადოება დაშლილია ანტაგონისტურ კლასებად, რომ მათ შორის არავითარი შინაგანი კავშირი არ არსებობს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის მიწა, რომელსაც გლეხი ამუშავებდა, ფეოდალს ეკუთვნოდა. გლეხს არ შეეძლო უფეოდალოდ ეცხოვრა, გლეხი ამუშავებდა ფეოდალის მიწას და ბეგარას უხდიდა თავის ბატონს. გლეხის სბატონო გამოსაღების მიუღებლად ფეოდალი მშიერი მოკვდებოდა. მიწის ფეოდალური საკუთრება იყო ამ ორი კლასის ფეოდალთა და გლეხთა კლასის ურთიერთობის შინაარსი. რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა კი არ გამორიცხავდა კლასთა ბრძოლას, პირიქით, ამწვავებდა და ქვეყნის შინაგანი ცხოვრება მწვავე კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიდიოდა.

მაგრამ ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ ყველა ფეოდალი მხოლოდ ამით იყო გართული, რომ თავისი ყმები გაეყიდა უცხო ქვეყანაში, ხოლო ყველა გლეხი იმის მეტს არაფერს აკეთებდა, რომ სადაც ბატონს დაინახავდა, თოფი ესროლა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ქვეყნის განვითარების ნიშანწყალი აღარ გვექნებოდა. დიახნის წინათვე აღარ იქნებოდა ქართველთა სახსენებელი.

ჩვენი ქვეყნის ბედნიერება ის იყო, რომ თვით ფეოდალთა ნაწილშიც ბევრნი იყვნენ მამულიშვილები, რომლებიც გლეხთა ფართო მასებს რაზმავდნენ ხოლმე მეზობელი მტრის წინააღმდეგ. ქართველი ფეოდალური კლასი მარტო შიდიმან ბარათაშვილებისაგან რომ ყოფილიყო შემდგარი, ვერ ვეტევი დიდებულ ბეგლოდა. ასე რომ ფეოდალური ხანის ქართული კულტურა, ყოფა, ქვეყნის ხსნადგადარჩენისათვის ბრძოლა ფეოდალური საზოგადოების მოლიანობაში უნდა წარმოვიდგინოთ.

„ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფელად, იმიტომ რომ სამსტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან, ამიტომაც ისტორიაში მოქმედ მამა-პაპის ავად ხსენება გლეხის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და მას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს“.

სამწუხაროდ, ასე როდია ფილმ „მაია წყნეთელში“.

ფეოდალური საზოგადოება ამ ფილმის შემქმნელებმა დაწლილად წარმოუდგინეს მაყურებელს. არავინ არის ფეოდალთა შორის ისეთი, რომელსაც სამშობლოსთვის გული შესტკიოდეს, მთელი ქვეყნის სვე-ბედი მაია წყნეთელს ჩაუგდეს ხელში, ამით უხეშად დაამახინჯეს ჩვენი ქვეყნის წარსულის ნამდვილი ისტორიული სურათი და, რაღა თქმა უნდა, თვით მაია წყნეთელსაც დაუკარგეს იმ კეთილშობილი, ხალხის წიაღიდან გამოსული ქვეყნის და მებრძოლი ქალის სახე, რომელიც ქართულმა ფოლკლორმა შემოინახა. თურმე ნუ იტყვით, ისეთი პროგრესული და დიდი სახელმწიფო მოღვაწე, როგორიც ერეკლე იყო, მაია წყნეთელის ანაბარა ყოფილა.

სცენარის ავტორს და დამდგმელ რეჟისორს საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქოს ერეკლეს გლეხთა უმწეო მდგომარეობა, თავადების მიერ გლეხთა დატყვევება და მძიმე გადასახადების ამბავი მაია წყნეთელისაგან გაეგოს და მისთვისვე მიეხდოს, ჭეშმარიტების დადგენაში დამეხმარეო. ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობაა.

ნამდვილად კი ერეკლე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავადისა და გლეხის ურთიერთობის ნორმალური ვითარების მოწესრიგება სცადა, აკრძალა ე. წ. „უდების დადება“ და აღადგინა „ბატონყმური რიგი“, რომელიც განსაზღვრავდა ბატონისა და ყმის ურთიერთგალდებულებას.

რა თქმა უნდა, ერეკლეს მიერ გლეხთა მდგომარეობის მოგვარების მიზნით მიღებული კანონები იმას კი არ ნიშნავს, რომ ერეკლე გლეხთა მეფე იყო. არა, ის ფეოდალი იყო და მისი კლასობრივი შეგნება ფეოდალთა ინტერესებიდან გამომდიოდა, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის ნორმალური განვითარება მოითხოვდა, რომ გლეხი ისეთ პირობებში ყოფილიყო ჩაყენებული, რომ მასში არ ჩამკვდარიყო მეურნეობის წარმოების სურვილი, ოჯახის გამრავლების ხალისი, თავისი ქვეყნის დაცვის კეთილშობილური მოვალეობა. ყოველივე ეს კი, საბოლოო ანგარიშით, იმ დროისათვის ქვეყნის პროგრესის საქმეს ემსახურებოდა. ამიტომ არის, რომ ერეკლეს ჩვენი ისტორიოგრაფია სიმპათიითა და პატივისცემით იხსენებს.

როგორია „მაია წყნეთელის“ ერეკლე? ჰგავს თუ არა იმ ადამიანს, რომელიც ხალხს ცნობიერებაში ცოცხლობს? რა თქმა უნდა, არა. „მაია წყნეთელის“ ერეკლე უინიციატივო, ბეჭავი მეფეა. მაღლობა გამჩენს, მაია წყნეთელი გამოჩნდა, თორემ საქართველოს ხსენება აღიგვეზოდა პირისაგან მიწისა.

აქამდე ვიცოდით, რომ ერეკლე გამოჩენილი სარდალი იყო, არ ყოფილა ისეთი ბრძოლა, რომლის მონაწილეც ერეკლე არ ყოფილიყოს და იგი პირველი არ გადაშეებულიყოს ბრძოლაში, პირადი მაგალითით არ გაემხნევებინა ქართველი ვეფაკაცები. „მაია წყნეთელში“ კი ერეკლე რაღაც პასიური მაყურებელია ბრძოლისა და მისი დამარცხება გარდუვალია, აქაც „მთე ბიჭი“ რომ არ გამოჩენილიყო. არა, მეგობრებო, ნუ ვამახინჯებთ ისტორიას, დავხატოთ წარსულის მართალი სურათები, და ხალხიც გულწრფელად დაგვიჯერებს.

ფილმი „მაია წყნეთელი“ ნაჩქარევია და ღრმად არ არის გაანალიზებული. იგი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი თანამედროვეობის მოთხოვნებს წარსულის ამსახველ სურათებზე. აქედან „ქართული ფილმის“ მუშაკებმა საჭირო დასკვნა უნდა გამოიტანონ.

დარწმუნებული ვარ, რომ „მაია წყნეთელის“ დამდგმელი კოლექტივი პატრიოტული მოსაზრებით მოქმედებდა, როცა ამ სურათზე მუშაობდა. მაგრამ მას აკლდა ერთი რამ — ისტორიული პროცესის ცოდნა. შედეგიც, სამწუხაროდ, სასურველი ვერ მივიღეთ.

და ერთიც. ამ სურათით საქართველო რაღაც ხრიოკ უდაბნოს მოგაგონებთ, ხოლო ხალხი — მთავარი მოქმედი პირნი ძონძებში გახვეულ ბრბოს. ზოგიერთი მათგანი ისეა წარმოდგენილი, ისეა გაშარჟებული, რომ მხოლოდ დეფექტური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლისგანაც დაუჯერებლად გვეჩვენება საგმირო საქმე.

ვერც ქართველი გლეხის სიდარბაისლეს ნახავთ მთე ბიჭსა თუ სხვა გლეხში. „მთე ბიჭი“ ქართულ ფეოდალურ ყოფაში, იმდროინდელი თუ ამ დროინდელი გაგებით, ბიჭს წარმოადგენს და ის ასე იოლად ვერც გლეხთა ფართო ჯგუფების მესვეური გახდება, არც მეფის ანბანოში შეუშვებენ, ვერც სასახლის ნადიმს დაესწრება.

ბოლოს სასურველი იქნება, თუ ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი რევაზ ჩხეიძე გამომსახველობითი საშუალებების გამონახვაში დაეყრდნობა ეროვნულ ნიადაგს. დროა დავანებოთ თავი უცხოური ფილმების შემოქმედებითი ხერხებისა და მანერის მექანიკურ დანერგვას ქართულ თემატიკაში. ეს მხოლოდ გაუგებრობას იწვევს სტილისა და ეპოქის ურთიერთ აღრევის გამო და სერიოზულ ეჭვს ბადებს ფილმის ავტორის მხატვრულ გემოვნებაში.

პროფესორი
დ. გვრიტიშვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი სახის სამაგრი

საქართველოს მაღაროებში გამომუშავებული სივრცის გამაგრებაზე დიდძალი თანხა იხარჯება. ამიტომ გამაგრების უკეთესი საშუალებების გამონახვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ მხრივ საყურადღებოა შტანგური სამაგრი. მას ახლა იყენებენ ჩვენი ქვეყნის მრავალ მაღაროში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამომუშავებული არის უშუალო ჭერის სუსტ ქანებში იბურღება შპურები მდგრადი ძირითადი ჭერის ქანების გადაკვეთამდე. ამ შპურებში შეჰყავთ 20-25 მილიმეტრი დიამეტრის ლითონის მრგვალი ღერო (შტანგა), რომლის ერთ ბოლოში ამოჭრილია გარკვეული სიგრძის ღრეჩო ლითონის სოლის ჩასასმელად.



მეორე ბოლოში კი არის ხრახნი ქანჩის მოსარგებად. ეროს დარტყმებით შტანგის ბოლოზე სოლი ებჯინება შპურის ძირს და შედის ღრეჩოში, აგანიერებს მას, რის გამო ხდება შტანგის ბოლოს გაჭედვა შპურის კედლებს შუა.

ამის შემდეგ, შტანგის მეორე ბოლოზე წამოიცმება ლითონისავე ფილა, ხოლო შემდეგ მოეკერება ქანჩი ისეთი ძალით, რომ ფილა მთელი თავისი ფართით მჭიდროდ მიეჯრნოს ჭერს. ამ გზით ხდება უშუალო ჭერის სუსტი ქანების „მიკერება“ ძირითადი ჭერის მდგრად ქანებთან, აგრეთვე თვით სუსტი ქანების შემჭიდროებაც.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 28 მაისი. (საკდესი). ადნის საagენტომ გამოაქვეყნა გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტის განცხადება, რომელშიც ნაჩვენებია უსაფუძვლობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰერტერის მტკიცებისა ქენევის თათბირზე იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და დასავლეთის სამხედრო ბლოკებში მისი ჩაბმა თითქოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღების შედეგი იყოს.

კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ გერმანიაში ჯერ კიდევ 1945 წელს შეიქმნა ზგრეფწოდებული „გერმანული სასამსახურო ნაწილები“ 500 ათასი კაცის რაოდენობით. ამ ნაწილებში მომზადდა კადრები დასავლეთ გერმანიის არმიისათვის.

1950 წლის ოქტომბერში ფაქტიურად შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო. ამავე დროს დაიწყო თანმიმდევრული იარაღით აღჭურვილი სასაზღვრო დაცვის შექმნა. ეს დაცვაც ემსახურებოდა ბუნდესვერისათვის კადრების მომზადებას. 1954 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერეს პარიზის შეთანხმებებს, რომლებითაც დასავლეთი გერმანია ნატოს სისტემაში შეიყვანა.

1956 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, ხოლო 1958 წლის მარტში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არის 1200-ზე მეტი ჯარისკაცთა და სხვა მილიტარისტული ორგანიზაცია.

1951-დან 1957 წლამდე, ხაზს უსვამს კომიტეტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დასავლეთ გერმანიის მთავრობას თოჯერ მიმართა წინადადებით ერთობლივ შეთანხმებათა შესახებ ორივე გერმანული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების რიცხვისა და განლაგების თაობაზე. ეს წინადადებანი უარყვეს ან უპასუხოდ დატოვეს. იმის გამო, რომ გერმანელმა მილიტარისტებმა აგრესიული არმია შექმნეს, ნათქვამია განცხადებაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ 1956 წელს მიიღო გადაწყვეტილება შექმნა ეროვნული სახალხო არმია.

როგორც განცხადებაში ხაზგასმულია დასასრულს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მტკიცება, თითქოს შეიარაღებული ძალების შექმნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უფრო ადრე დაწყებულიყოს, ვიდრე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ცხადია, იმისათვისაა ნავარაუდევი, რომ შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲣᲭᲐᲠᲘ ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 28 მაისი. (საკდესი). როგორც ლუქსემბურგიდან იუწყებიან, სხრ კავშირის დესპანმა ლუქსემბურგში ი. ა. მელნიკმა გუშინ ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს დომინიკ ურბანის გადასცა საბჭოთა დოკუმენტალური ფილმი „კომუნიზმის შშენებელთა ყრილობა“. გადაცემას დაესწრნენ ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არტურ უნელდინგერი, ფან კილი და ეოზეფ გრანჯენე. გადაცემის შემდეგ გაიმართა ფილმის განხილვა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲗᲘᲠᲐᲜᲐ, 28 მაისი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა საagენტო იუწყება, დღეს ალბანეთში შეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი მარშალ პინ დე-ხუაი. დელეგაცია ალბანეთში დარჩება 1959 წლის 2 ივნისამდე.

ᲩᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 28 მაისი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა სახელმწიფო მდივან ჯ. ჰერტერთან ერთად მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ლოიდი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი.

შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის პრესის საიუთხთა მდივანმა ჰეგერტიმ მოაწყია პრეს-კონფერენცია, რომელზეც, კერძოდ, თქვა: პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ აზრთა ყოველმხრივი გაზიარების მსვლელობაში, რაც ჟენევაში ხდება, გამოინახება უკეთესი მიდგომა იმ პრობლემების გადაჭრისადმი, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე ევროპაში. პრეზიდენტმა, ბუნებრივია, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გამოინახოს ჩვენი პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრა. მან აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ ჟენევაში დაბრუნების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრები შეძლებენ მიაღწიონ ისეთ პროგრესს, რომელიც სასურველ და სასარგებლოს გახდიდა მთავრობათა მეთაურების განხილვა თათბირის მოწყობას.

ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲜᲔ Ա. Ա. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ, Ⴊ. ᲰᲔᲠᲢᲔᲠᲘ, Ს. ᲚᲝᲘᲓᲘ, Მ. ᲙᲣᲕ ᲓᲔ ᲛᲘᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 29 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ჟენევაში დაბრუნდა ვაშინგტონიდან, სადაც დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯ. ფ. დალესის დაკრძალვას.

იმავე თვითმფრინავით ჟენევას დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ჰერტერი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ლოიდი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. კუვ დე მიურვილი.

აეროდრომზე პრესის წარმომადგენლებს გადაეცათ შემდეგი განცხადება: „ოთხ საგარეო საქმეთა მინისტრს თვითმფრინავში შესაძლებლობა ჰქონდათ გაეკეთებინათ ჟენევის თათბირის მუშაობის მსვლელობის მიმოხილვა და განეხილათ თავიანთი შესაბამისი პოზიციების ზოგიერთი დეტალი. ყველა დაეთანხმა იმას, რომ ეს აზრთა გაზიარება სასარგებლო იყო. ოთხი მინისტრი შეთანხმდა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს კერძო და არაოფიციალური წესით დღეს 17.00 საათზე ბ-ნ ლოიდის ვილაში“.

ᲡᲐᲮᲣᲭᲐᲠᲘ ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 28 მაისი. (საკდესი). როგორც ლუქსემბურგიდან იუწყებიან, სხრ კავშირის დესპანმა ლუქსემბურგში ი. ა. მელნიკმა გუშინ ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს დომინიკ ურბანის გადასცა საბჭოთა დოკუმენტალური ფილმი „კომუნიზმის შშენებელთა ყრილობა“. გადაცემას დაესწრნენ ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არტურ უნელდინგერი, ფან კილი და ეოზეფ გრანჯენე. გადაცემის შემდეგ გაიმართა ფილმის განხილვა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

„ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ“

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, 26 მაისს ალჟირში მყოფი ფრანგთა ჯარების უმაღლესი სარდლობის ბრძანებით საფრანგეთის არმიის ქვეგანაყოფებმა დაარღვიეს ტუნისის სახელმწიფო საზღვარი უენზის „რაიონში, შეიჭრნენ ტუნისის ტერიტორიაზე, ბრძოლა გაუმართეს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმს, რომელმაც უკან დაიხია ტუნისის ტერიტორიაზე.

ეს ხდება იმ დროს, აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე“, როცა ულტრაკოლონიალისტური ელემენტები კვლავ აშკარად გამოდიან ალჟირში და მოითხოვენ სამხედრო ინტერვენციის დაწყებას ტუნისის წინააღმდეგ. ასეთი პოზიციები, ამბობს გაზეთი, მოწმობენ, თუ რა ტრაგიკული შედეგი მოსდევს ალჟირის ომს, რომლის შთამაგონებელნი აშკარად მოითხოვენ არა მარტო ტუნისის, არამედ აგრეთვე მაროკოს დაპყრობას.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

◆ ხოფიიდან გაემგზავრა ჩინეთის სამხედრო დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მარშალ პინ დე-ხუაის მეთაურობით. დელეგაცია ბულგარეთში იმყოფებოდა სახალხო თავდაცვის მინისტრის მიწვევით.

◆ ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს ოქმს უნგრეთსა და პოლონეთს შორის საქონელბრუნვის მეორედ გადიდების შესახებ 1959 წლისათვის. ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საქონელბრუნვა დიდდება 20 მილიონის მანეთით.

◆ პრაღიდან სამშობლოში გაემგზავრა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის თავრობის დელეგაცია, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში იმყოფებოდა ვიზიტით. დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი.

◆ როგორც ლონდონიდან იუწყებიან, მექვანეთა და ელექტრიკოსთა გაერთიანებული პროფკავშირის ყოველწლიური კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც უოტლშში მიმდინარეობს, ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ხელფასის „დაუყოვნებლივ და მნიშვნელოვან“ გადიდებას. ამ რეზოლუციის პროექტის წარდგენისას დელეგატმა ტოუილმა (შოტლანდია) განაცხადა, რომ ინგლისის მუშათა კლასი აქტიურ ბრძოლას აწარმოებს ხელფასის გაყინვისა და ფასების ზრდის წინააღმდეგ. მის გამოსვლას მხარი დაუჭირეს სხვა ორატორებმა.

◆ როგორც პრესა კატმანდუდან იუწყება, ნეპალის ახალმა მთავრობამ, რომელსაც მეთაურობს პარტია ნეპალის კონგრესის თავმჯდომარე ბიშეშვარ პრასად კოირალა, ფიცი მისცა მეფე მაჰენდრას.

◆ 28 მაისს სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე ტოკიოში, რომელიც იაპონიის გაზეთმა „მაინიჩი“ მოაწყო, გამოფენილი იყო საბჭოთა მხატვრების სურათები. გამოფენა გაგრძელდება ტოკიოში 2 ივნისამდე, რის შემდეგაც მისი საუკეთესო ექსპონატები და საბჭოთა ხუროთმენი ნაჩვენები იქნება იაპონიის სხვა ქალაქებში. (საკდესი).



ᲮᲕᲐᲚ ᲣᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ

★ ★ ★ ★

ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲣᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲰᲒᲕᲐᲜᲐᲜ...

თბილისში, ფიზკულტურის ქუჩის ბოლოს 102-ე შვიდწლიანი სკოლის წინ, უყვავილთა მომაჯადოებელი ხურნელებაა. თვალს იტაცებს სკოლის ეზოს დიდი და ფერადი ხალიჩა — სხვადასხვა ფერის ვარდი, ზამბახი, შროშანა, სუმბული, ნარგიზი, მიხაკი. თავი დაუხრიათ ლამაზ კოკრებს, მალე ისინიც აუყვავდებიან. რა ქნან, წვიმებმა შეუშალეს ხელი, თორემ აქამდისაც გაიხსნიდნენ მკერდს. და განა მარტო უყვავილნი! ვაზის სხვადასხვა ჯიშებს — საფერავს, რქაწითელს, ციცქას — თავიანთი შტოები შორს აუზიდავთ, შენობის კედლები და ფანჯრები დაუფარავთ...

ამ ერთი თვის წინ რომ მისულიყავით, აქ ხეთა ყვავილობას ნახავდით. სხვადასხვა ჯიშის ატმის ხეები — გორული თეთრი, ხიდისთაური ყვითელი, საკვიანო ვარდისფერი, ბესტავაშვილისა — თითქოს ცეცხლი ეკიდათო, ისე ღვიოდნენ. ჰყვაოდა ბალი, ალუბალი, თურაშაული ვაშლი, მსხალი... ახლა კი ხეხილი დაბეჭითონულია ჯერ კიდევ ნორჩი ნაყოფით.

ყველაფერი ლამაზია, მაგრამ უყურადღებას უფრო მეტად მაინც ყვავილები იქცევენ.

ბაღში ხშირად დაინახავთ მოფუსფუსე გოგო-ბიჭებს, რომლებიც მზრუნველობას არ აკლებენ თავიანთი ხელით დარგულ მცენარეებს. ახლაც ყვავილებში იყვნენ გაბნეულნი. მირანდა კიკაბიძე და ელენე პეტრიაშვილი ლამაზ ზამბახებს სასუქს უყრიდნენ. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ივა ზარდარიანი, გალინა გამეგალდაშვილი ვარდებს ნინჯავდნენ — ზოგიერთ მათგანს რაღაც მწერები გაუჩნდა და გოგონები მათ გასანადგურებლად „ყვავილთა დედოფლებს“ კოკრებში წამალს აყრიდნენ.

ყვავილების მოვლაში მეორე და მესამე კლასების მოსწავლეებსაც მუძღვით წვლილი. ბევრი ჩითილი გამოიყვანეს ნინო ჯაიანმა, ვალერი სისკანმა და მათმა თანაკლასელებმა. ახლა უფროსებს ისინი ჩითილებას გამოზიდვაში ეხმარებიან.

ბავშვების მუშაობას თვალყურს ადევნებენ და მათთან ერთად შრომობენ სკოლის დირექტორი მავრა გელაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე მერი თელეძე, შროშის მასწავლებელი იოსებ ცქიფურიშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ნელი ბაღდასაროვა და სხვ.

არ უყვართ 102-ე სკოლის მოსწავლეებს დაუდევარი ბავშვები. აქ ჰყავდათ თითო-ოროლა დაუდევარი მოსწავლე, რომლებიც ყვავილებს პატივს არ სცემდნენ. ერთმა ყვავილებზეც კი გადაირბინა თამაშის დროს. ბავშვებმა თვითონვე დასაჯეს თავიანთი ამხანაგი, იგი აიძულეს აღედგინა გთელილი ყვავილები და შემდეგ ყოველდღიურად ეზრუნა მათი გახარებისათვის.

ყვავილების მოვლა-პატრონობამ გაფაქიზა ბავშვების შინაგანი ბუნება. მასწავლებლები კარგად გრძნობენ, რომ ბევრი ბავშვი უფრო გულისხმიერი, ყურადღებიანი გახდა. ეს სიფაქიზე მათ მიერ შერულებულ დავალებებსა და რვეულებსაც კი დაეტყო.

მოდის ყვავილების დღესასწაული. გალამაზდება ჩვენი ქალაქი დედაქალაქი. ათასფერი ყვავილებით მოირთვება მისი ქუჩებიც... სწორედ ამ დღისათვის ემზადებიან 102-ე სკოლაშიც. აქ აპირებენ დიდი დღეობა გადაუხადონ ვარდებს, შროშანებს, სუმბულებს, მიხაკებს, მინდვრის ფერად-ფერად ყვავილებს... ლამაზი „იუბილარები“ თითქოს განიცდიან ამ ხაზეიმო განწყობილებას — უფრო და უფრო კეკლუცდებიან, ამშვენიერებენ 102-ე სკოლის ეზოს, სადაც მზიარულად დარბიან ბავშვები, თვითონაც რომ ყვავილებს ჰგვანან.

ᲚᲘᲐ ᲠᲔᲕᲘᲐ.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲓᲦᲔᲝᲑᲐ

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ფოტოეტიუდი ს. ონანოვისა და გ. კიკვაძისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ხვალ თბილისში, დიდუბეში, საამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე გაიხსნება გაზაფხულის ყვავილების გამოფენა. მთელ ქალაქში მოეწყობა ყვავილების დღესასწაული. იგი ნამდვილი ზეიმი იქნება მეყვავილეთათვის და სიფაქიზისა და კეთილშობილების დღეობა თბილისელებისათვის.

ამ უჩვეულო დღესასწაულის მოსაწყობად დიდი ხანია ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის მეყვავილეები. მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი და თბილისის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის, სოხუმისა და ბაკურიანის ბოტანიკური ბაღები, ქალაქების — ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და თელავის რაიონის მეყვავილეები, თბილისის ყველა რაიონის გამწვანების კანტორები. გამოფენასა და დღესასწაულში ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი აგრეთვე ინდივიდუალური მეყვავილეები. მაგალითად, ცნობილ მცხეთელ მეყვავილეს მ. მამულაშვილს ცალკე სტენდი აქვს დათმობილი.

თბილისის გამწვანების ტრესტი გამოიტანს უკვე დანერგილ კულტურულ ყვავილებს — ცინერარიას, ალისუმს, ია-ია და სხვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი და ბოტანიკური ბაღი კულტურული მცენარეების გარდა გამოფენენ ველურად მზარდ მცენარეებს, რომლებიც კულტურაში გადმოტანილ ღირსი არიან. მათ საგამოფენო პავილიონში მოაწყვეს ალპური მცენარეების გორაკი, სადაც ჰყვავის 25 ლამაზი მცენარე — დეკა, ფუტრისუნა, კესანე, მთის თვალი და სხვ.

გარდა ამისა, თბილისის ბოტანიკური ბაღის მეყვავილეებმა დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებისათვის ქოთნებში დამაზადეს 2.500-მდე ძირი სხვადასხვა მცენარე.

მრავალი ლამაზი მცენარეთი იქნება წარმოდგენილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეყვავილეთა მეურნეობანი. განსაკუთრებით ბევრი ექნებათ ვარდები. ჩამოვიდნენ და მდიდარი მასალა ჩამოიტანეს ბათუმელმა მეყვავილეებმა.

ქალაქში გაიმართება ყვავილების დღესასწაული. ათასნაირი ლამაზი ყვავილებით მოირთვება თბილისის ქუჩები, განსაკუთრებით ა. ჰავჰავაძის პროსპექტი. ყვავილებით მოირთვება საცხოვრებელი სახლების აივნები და ფანჯრები. ქალაქის მოკაზმვაში მეყვავილეებს გარდა მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, დიასახლისები და სხვა მოქალაქეები.

ქუჩებში, პარკებში და გამოფენის ტერიტორიაზე მოეწყობა ყვავილების გაყიდვა.

ყვავილების დღესასწაული წელს პირველად იმართება. შემოდგომაზე განზრახულია ქალაქში მოეწყოს შემოდგომის ყვავილების ზეიმი. ეს ღონისძიებები უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს მეყვავილეობის განვითარებას.

Ე. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ

ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ...

გაზაფხულის უკანასკნელი დღე — 31 მაისი ყვავილების დღესასწაულია. თბილისის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნატურალისტები სიხარულით ემზადებოდნენ ამ დღისათვის.

ზეიმის შესახვედრად სადგურის ბავშვებმა ამ დღეებში შესანიშნავად მორთეს ჩვენს სადგურთან მისასვლელი გზების გაზონები, ქალაქის მოსართავად მოამზადეს 500 მეტრი ყვავილწნული, რომელიც დაამშვენებს პუშკინის ქუჩაზე მდებარე საწარმო-დაწესებულებების ფასადებს. სადგურმა დღესასწაულთან დაკავშირებით სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გადასცა 8.000 ძირზე მეტი ჩითილი, ქოთნის ყვავილი და მწვანე ნარგავები.

კიროვის რაიონის გამწვანების კანტორას მოსახლეობისათვის გადაეცით აგრეთვე 500 ქოთანი საოთახე მცენარე — ბეგონია, ამარალისი, გერანი, აშარანტუსი, რაიონის საწარმოდაწესებულებათა ფასადების გასაფორმებლად — ქოთნის ყვავილები: ბეგონია-რექსი, პალმა, ლიმონისა და მანდარინის ბუჩქები და სხვ.

Ш. ᲛᲐᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი.

ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◎ 31 მაისს დღის 11 საათზე დიდუბეში, სამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე გაიხსნება ყვავილების გამოფენა, რომელიც მუდმივი იქნება.

◎ დედაქალაქის ყველა პარკში 30 და 31 მაისს მოეწყობა კარნავალები, მასობრივი სეირნობანი.

◎ სტალინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში გაიმართება თემატური კონცერტები, მძიღვნილი ყვავილების დღესასწაულისადმი. კონცერტები მოეწყობა აგრეთვე სამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე.

◎ თბილისის ყველა კინოთეატრსა და კლუბში ნაჩვენები იქნება დოკუმენტური და ქრონიკალური ფილმები, მიძღვნილი ყვავილების დღესასწაულისადმი.

◎ საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდია გადაიღებს ყვავილების ზეიმის ამსახველ კინოფილმს.

◎ 6 ივნისს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართება დღესასწაულის შემაჯამებელი საღამო, სადაც მოხდება ჯილდოების გადაცემა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ

საკავშირო ჩემპიონატებში მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა გუშინდელი შეხვედრა ფეხბურთში რიცხვით 36-ე იყო. მოსკოველებს აქტივში ჰქონდათ 25 მოგება. დანარჩენი მატჩებიდან 6 დამთავრდა ფრედ, 4 თბილისელთა გამარჯვებით.

ყოველივე ეს ოსპარეზობისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდიდა. თამაშის პირველი წუთები თბილისელთა წარმატებით აღინიშნა. ზ. კალოევი შეიჭრა მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე, ოსტატურად აუარა გვერდი მცველს და ზუსტი დარტყმით გასსა ანგარიში.

მოსკოველთა თავდამსხმელებმა ნახევარმცველთა აქტიურმა დახმარებით კონტრთამაში შექმნეს, კერძოდ მარჯვენა ფლანგზე, სადაც თავისუფლად მოქმედებდა სწრაფი და დაუღალავი ვ. ურინი. მე-13 წუთზე მან გაიმარჯვა ორ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში და თბილისელთა კარში საპასუხო ბურთი გაიტანა. 4 წუთის შემდეგ კვლავ მარჯვენა ფრთიდან გათამაშებული კომბინაცია ვ. ურინის ზუსტი ჩაწოდებით, გ. ფედოსოვის თავური დარტყმით და გოლით დამთავრდა.

პირველი ტაიმის შემდგომი ეტაპი თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის უდავო შესაძლებლობანი.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მოსკოველებმა შეძლეს მესამე ბურთის გატანა და მოიგეს მატჩი ანგარიშით 3 : 1.

დედაქალაქის „დინამო“ 7 თამაშიდან შეგროვილი 13 ქულით კვლავ XXI ჩემპიონატის ლიდერია.

ᲪᲮᲐ ᲛᲝ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 29 მაისი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიევის „დინამოს“ გუნდები.

მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 0.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

დონის როსტოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ პრაღის „დინამოსა“ და დონის როსტოვის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრის შედეგია 1 : 0 სტუმრების სასარგებლოდ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲨᲘ

28 მაისს გაიმართა საქართველოს საჭადრაკო პირველობის ფინალური ასპარეზობის მე-11 ტური.

წარმატებით იბრძვის ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი. მე-11 ტურში მან დაამარცხა გ. ჭანტურია. ამავე დღეს თ. ლომაიამ მოუგო ა. წერეთელს. მ. შიშოვმ. გურგენიძის, გ. გამრეკელ-ა. ბულავის, ა. ბლაგიძე-ა. ოზოროჩკოვისა და თ. გიორგაძე-ო. თურქესტანიშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. წინა ტურიდან გადადებულ პარტიებში ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ბ. გურგენიძე-გ. გამრეკელი და ნ. გაფრინდაშვილი-თ. გიორგაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

1. თეორიულ გამოკვლევათა განყოფილება — 3 საშტატო ერთეული,

2. საკონტროლო გამოთვლების განყოფილება — 0,5 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა შემოიტანონ დირექციაში შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის პირი, სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საბუთის პირი, სამეცნიერო წოდების მინიჭების საბუთის პირი, სამეცნიერო შრომების სია, სამსახურებრივი და პარტიული დახასიათებანი, სამეცნიერო შრომების ვრცელი დახასიათება, შედგენილი სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ. პირები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად. ყველა საბუთი წარდგენილ უნდა იქნას ორ-ორ ცალად.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

გამოთვლითი ცენტრის მისამართი: ქ. თბილისი, ნიაღვრის ქ. № 4-ა. ტელეფონი № 3-12-82.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ აცხადებს კონკურსს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე შემდეგ თანამდებობებზე:

კათედრის დოცენტი (მეცნ. კანდიდატი) . . . . . —3.

უფროსი მასწავლებელი (მეცნ. კანდიდატი) . . . . . —2.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება და დებულებით გათვალისწინებული საბუთები (ორ-ორ ცალად).

კონკურსის ვადაა 30 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 10.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1959 წ. 10 ივნისს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საკ. კპ (ბ) XV კონფერენცია და მისი მნიშვნელობა სოციალიზმის გამარჯვებისათვის სსრ კავშირში“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1959 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჟურნალზე „Дружба“, რომლის გამოცემას პეკინში რუსულ ენაზე აწარმოებს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, და ჟურნალზე „Китай“.

„სოიუზპეჩატი“

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲮᲔ